

K 28.265
3

გაიოზ ჯეჯელავე

ს. ს. რ. კავშირის სპორტის დამსახურებული ისტატი

მოქავი თამაშობანი
ფეხბურთისათვის

„ტემისა და ურობა“

შ ა ს ე პ ა რ ი

აქ შეკრებილ, დამუშავებულ და ახლად შედგენილ მოძრავ თამაშობათა და ვარჯიშების მიზანია გაეუადვილოთ ფეხბურთის თამაშის შემსწავლელ ახალგაზრდობას ტექნიკის სხვადასხვა ელემენტების შესწავლა, ამასთან ეს შესწავლა მოვახდინოთ საინტერესო და მიმზიდველ ფორმებში.

მაგალითად, რომ უთხრათ მოსწავლეს — „მიაწოდე 20 კუთხური გარტყმა მარჯვენა ფეხით, ხოლო შემდეგ 20 იგივე გარტყმა მარცხენა ფეხით“, ის ამას შეასრულებს, მაგრამ ამოცანის გადაწყვეტაში მთელ ყურადღებას და შესაძლებლობას არ ჩააქსოვს, ვინაიდან ეს ვარჯიში მისთვის მოსაწყენი და არასაინტერესო იქნება. სულ სხვათ თუ ხელმძღვანელი დასძენს: „მოთამაშებს შორის ტარდება შეჯიბრება კუთხური გარტყმის საუკეთესოდ შესრულებაში. თითოეული მოთამაშე, აწვდის კუთხურ გარტყმას 20-ჯერ ბურთის განსაზღვრულ ფართობზე ჩაგდებით, აქედან 10-ჯერ მარჯვენა ფეხით, ხოლო 10-ჯერ მარცხენა ფეხით. ამოცანის ამგვარად დასმა გაამახვილებს მოთამაშის ყურადღებას დასმული ამოცანის გადაწყვეტაში.“

ტექნიკური ვარჯიშის დროს დაუშვებელია გუნდს ერთი ბურთი ჰქონდეს. ორი ბურთი მინიმუმია, სასურველია კი, ორ მოთამაშეზედ ერთი ბურთი იყოს.

ფეხბურთის თამაშის ტექნიკის დაუფლება, მხოლოდ ბურთთან მუშაობით შეიძლება. რაც უფრო მეტჯერ ივარჯიშებს მოთამაშე ბურთით, მით უფრო ჩქარა დაიმორჩილებს იგი მას და ბურთი მოთამაშის „დამჯერი“ გახდება.

ძირითადათ ფეხბურთელთა წრთვნა საათნახევრის განმავლობაში მიმღინარეობს, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოასწავებს იმას, რომ ამ წესიდან გადახვევა არ შეიძლება და რომ გაჭვეთილის დაგეგმვა დროის მეტი ხანგრძლივობით დაუშვებელია.

შესაძლებელია მწვრთნელმა, ინსტრუქტორმა, გუნდის თავმა ან ხელმძღვანელმა, რომელსაც მინდობილი აქვს გაკვეთილის შედგენა-ჩატარება, მიზნად დაისახა წმინდა ტექნიკური საკითხის შესწავლა, რომელსაც არ სჭირდება იმდენი ფიზიკური ენერგიის დახარჯვა, რომ მონაწილეებს არ შეეძლოთ საათნახევრიანი მეცადინეობის შემ-დეგ მისი გაგრძელება. ამ შემთხვევაში გაკვეთილმა შეიძლება ორ საათს და მეტ ხანსაც გასტანოს, (წინასწარ დაგეგმვის შედეგად) რაც სარგებლობის მეტს არაფერს მოუტანს მოსწავლეს. ზოგჯერ კი გაკვეთილი შეიძლება ისეთნაირად შესდგეს, რომ ჩვეულებრივმა საათნახევრიანმა მეცადინეობამაც ზიანი მოუტანოს მოსწავლეებს. ამიტომაც ვარჯიშების და თამაშების შერჩევას გაკვეთილის შედგენის დროს მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ფეხბურთელის ტექნიკურ მოშზდებას უალრესად დიდი მნიშვნელ-ობა აქვს, ვინაიდან შესაფერი ტექნიკური მოშზდების გარეშე არ შეიძლება ვილაპარაკოთ არამც თუ თამაშის ტაქტიკაზე, არამედ ცალკეულ ტაქტიკურ კომბინაციზედაც კი.

წიგნში მოყვანილი ვარჯიშების და მოძრავ თამაშობათა რე-გულარული, სწორი და მოფიქრებულად გამოყენება მოსწავლეებს გაუადვილებს ფეხბურთის თამაშის ოსტატობის დაუფლებას.

ზოგიერთების აზრით ფეხბურთის თამაშის დროს ფიქრი როდია საჭირო და თამაშის მთელი შინაარსი ბურთზე ფეხის უაზრო გარ-ტყმაში მდგომარეობს, ეს არასერიონზული შეხედულებაა. ფეხ-ბურთი კოლექტიური თამაშია, რომელშიც თერთმეტი მოთამაშე ერთი აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. როდესაც ერთ მოთამაშე ბურთი აქვს ფეხში, მის გვერდზე მდგომარი ამხანაგებმა უნდა მოი-ფიქრონ და დაიკავონ შესაფერი ადგილები.

იმისათვის, რომ ბურთის თამაშის დროს მოსწავლები მიეჩიონ თავიდანვე ფიქრს და აზრიან თამაშს, მოძრავი თამაშობანი შედგე-ნილია იმგვარად, რომ თუ ორივე მხარეს ტექნიკურად ერთი შესაძლებლობის ქვეშ მოთამაშები იქნებიან, გაიმარჯვებს ის გუნ-დი, რომელიც უფრო მაღვე აუღებს ალლოს თამაშს და ზუსტად გა-მოიყენებს შეჯიბრების დროს შექმნილ ტაქტიკურ მომენტებს.

მაგალითისათვის ავილოთ თამაში: „ყველა ბურთები ერთ მხა-რეს“ (იხ. თამაში). თამაშის შინაარსი სულ უბრალოა: თითოეული გუნდი ცდილობს ბურთების მთელი რიცხვი მოათავსოს მოწინააღ-მდეგის მხარეს. ამ თამაშში, თუ ერთ-ერთი გუნდი მოილაპარაკებს, რომ ყველა ბურთები ურტყას მოწინააღმდეგის მოედნის ერთ მხარეს

და ერთ კუთხეში, რათა მისი ძალები დააჯვეულოს ერთ ადგილზე, შეაჩინოს შეტოვე ამ მდგომარეობას, მხოლოდ შემდეგ კი მოულოდ-ნელად შეტევა გადაიტანოს მოპირდაპირე მხარეს, იმ დროს, რო-დესაც ბურთების შეტი რიცხვი ამ ტაქტიკის გამოყენებელი გუნდის მხარეზეა, (რომ მოგებული იქნეს დრო, რომელსაც გუნდი ერთ მხრიდან მეორე მხარეზე გადასასვლელად მოანდომებს) თანაც გარტყმა გაანგარიშებული იქნეს თვითეულის მიერ იმგვარად, რომ ბურთი დაეცეს მოედნის საზღვრებში და შემდეგ გადასცილ-დეს მოედანს. მაშინ მოწინააღმდეგეს მოუხდება მისი მოტანა უფრო დიდ მანძილიდან და, ეს მომენტი შეიძლება გადამწყვეტი გახდეს ერთი ქულის შესაძენად.

გარდა ამისა, შეიძლება გუნდმა შემდეგი „ეშმაკობა“ იხმაროს. როგორც კი იქნება ძახილი „დაიწყო“, ერთ-ერთი გუნდი ყველა ბურთებს ურტყამს რაც შეიძლება მაღლა და ერთ მხარეს, რომ მო-გებული იქნეს დრო ბურთის მაღლა ასვლა—დაშვებაში. თუ აშ დროს მოწინააღმდეგე ბურთებს დაბალი გარტყმებით გადაგზავნის ამ გუნდის მხარეს, მას შევძლია საჩქაროდ დააბრუნოს ბურთები მისი მოწინააღმდეგის მხარეზე და მით მიაღწიოს გამრჯვებას.

როგორც ვხედავთ, ასეთი უბრალო შინაარსის მქონე თამაში-ბევრი მომენტია, მოსაფიქრებელი, რომლის გარჩევას არ შევუდგებით და თვით მონაწილეებს დავავალებთ.

აქ მოყვანილ მოძრავ თამაშობათა და ვარჯიშების სისტემა-ტური გამოყენება მოთამაშებში ჩვევებს გამოიმუშავებს, ხოლო შემდგომი გამეორებანი კი ამ ჩვევებს ავტომატურობაში გადაიყანს, რითაც საბოლოო მიზანი სავსებით მიღწეული იქნება. ყველა ვარ-ჯიშები და თამაშები შესრულებული უნდა იქნეს, როგორც მარჯვე-ნა, ისე მარცხენა ფეხით. ხელმძღვანელმა ხშირად უნდა მიუთითოს მოსწავლეებს: „ახლა ეს თამაში (ვარჯიში) ჩატარეთ მხოლოდ მარცხენა ფეხით, ვინც მარჯვენას შეახებს წაგებულად ჩაითვლება“.

თითოეული თამაში ინტერესს მხოლოდ ტექნიკის დაუფლების შემდეგ იწვევს, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება თამა-შის შემადგენელ ელემენტებად დაშლა და მათზე ვარჯიში, ხოლო შემდგომ თამაშის მთლიანად ჩატარება. მოძრავი თამაშობანი იმგვა-რად უნდა იქნეს ჩატარების თითოეულ გაკვეთილში, რომ მათ მთელი გაკვეთილის 25—30%, დაეთმოს და გაკვეთილს მისცეს სი-ცოცხლე და სიხალისე.

დაუშვებელია, რომ ფეხბურთელთა ერთი ნაწილი დაკავებული

იყოს თამაშობით ან გარჯიშობით, მეორე ნაწილი კი ამ დროს მაუყრებლის როლს ასრულებდეს.

სწავლების მთელ პროცესში ხელმძღვანელი ყურადღებას უნდა აქცევდეს იმას, რომ მოთამაშე ყოველთვის მიღიოდეს ბურთისაკენ და არასოდეს არ ელოდოს მას ადგილზე. ყოველგვარი გარტყმის მომენტში მოთამაშე უნდა უყურებდეს ბურთს, როდესაც კი შესაძლებელია თავი აწეული ჰქონდეს და ალლოს უღებდეს მოთამაშეთა განლაგებას, რათა შეეძლოს შექმნილი მდგომარეობისდა მიხედვით სასწრაფო და სწორი გადაწყვეტილების მიღება. ახლო მანძილიდან კარებში გარტყმის დროს, ძლიერ გარტყმას ყოველთვის სჯობს ნელი და ზუსტი გარტყმა. მწვრთნელმა უნდა აძულოს მოსწავლეები რომ თანდათანობით შეისწავლონ გუნდის თითოეული წევრის მიღრებილება, ჩვევა და სხვა მრავალი „წვრილმანი“, რომელსაც შესაფერ მომენტში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დასასრულს კი უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი და თამაშის ტექნიკისათვის საჭირო ელემენტი ე. წ. მოტყუებითი მოძრაობა („ფინტი“) ტანით ან ფეხით. თვით გამოთქმიდან სჩანს, რომ მოთამაშემ უნდა შეასრულოს მოწინააღმდეგის მიმართ მოტყუებითი მოძრაობა.

მაგალითად, თუ მოთამაშეს ბურთი ფეხში აქვს და ამ დროს მოწინააღმდეგე უტევს მას რათა წაართვას ბურთი, მან ტანი უნდა გადასწიოს მარჯვნივ, რათა ბურთის წასართმევად შეტევაზე წამოსულ მოთამაშეს შეუქმნას ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ის მარჯვნივ აპირებს წასვლას, რომ იგი მართლა მარჯვნივ წავიდეს თვითონ კი სასწრაფოდ გადაინაცვლოს მარცხნივ. ასეთი და სხვა სახის მოტყუებით მოძრაობებზე (ფეხით) მოთამაშემ უნდა ჩაატაროს ვარჯიშები ინდივიდუალურად, ბურთზე ზევიდან ფეხის გადატარებ-გადმოტარებით. ასევე ტანის მარჯვნივ და მარცხნივ გადაწევ-გადმოწევით და საბოლოოდ, რომელიმე მხარეს სხარტი წასვლით, ასეთი სახის სისტემატური ვარჯიში, ხელს შეუწყობს მოთამაშეთა მიერ მოტყუებითი მოძრაობების შეთვისებას.

რამოდენიმე წლის განმავლობაში ზომიერი, სისტემატური და დაუღალავი მუშაობა აღზრდის ბევრ და კარგ ოსტატს, რითაც ფეხ-ბურთის კლასი გაცილებით უფრო სწრაფად და დიდად ამაღლდება.

წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს ფეხბურთის სწავლების გარკვეულ სახელმძღვანელოს, არამედ იგი ფეხბურთის გაკვეთილის ძირითადი ნაწილისათვის საჭირო ვარჯიშების კრებულია.

ვინ უფრო ადრე გაიტანს გოლს

(ნახ. № 1)


თევზბურთის სათამაშო მოედანზე გვერდითი ხაზებიდან 5—8 მეტრის დაშორებით მის პარალელურად თითოეული მხარეს და-ვაყენოთ 4—5 დგარი, 2—2 მეტრის დაშორებით ერთ მანეთისაგან. უკანასკნელ დგარსა და მოედნის შუა ხაზს შორის მანძილი 10—12 მეტრია. ასევე ორ რიგად შუა ხაზებიდან 15 მეტრის და გვერდითი ხაზიდან 8-10 მეტრის დაცილებით გაფაკეთოთ დგარების გ—დ და ე—ვ რიგი, დგარებს შორის 3 წეტრის დაცილებით. შუა ხაზისა და გვერდითი ხაზების გადაკვეთის წერტილიდან შემოვხაზოთ 12 მეტ-რის რადიუსის რკალები, მიღებულ სექტორებს ვუწოდოთ ბურთის მისაღები სექტორები.

პირითი ხაზის და საჯარიმო მოედნის ხაზების გადაკვეთის წერ-ტილებიდან მოხაზულ 3 მეტრიან რადიუსის სექტორებს ვუწოდოთ ბურთის გადასაცემი სექტორები.

თამაშის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

გვერდითი ხაზების ა და ბ ადგილებზე თავსდებიან ერთმანეთის მოწინააღმდეგე გუნდების X და O მოთამაშეები, რომლებსაც ხელში უჭირავთ თითო ბურთი. ნიშნით „დაიწყო“—ეს მოთამაშეები გადა-უგდებენ ბურთს. (გვერდითი აუტის შემოტანის წესით) თავიანთ მოთამაშეებს, მაგალითად—ა ადგილიდან X მოთამაშე ესვრის ბურთს X₁, ის დაიცორჩილებს ბურთს და კლაკნილად გაივლის მის წინ დადგნულ დგარებს, გასვლისთანავე გრძელი პასით გადააწვდის ბურთს ზ სექტორში მყოფ X₂ მოთამაშეს, ეს უკანასკნელი მიი-ღებს რა ბურთს, მაშინვე მიაშურებს დგარების დ—გ რიგს და X¹₂ მდგომარეობიდან გადააწვდის ბურთს პირველი და მეორე დგარით შექმნილ კარებიდან X₃ მოთამაშეს, რომელიც ვალდებულია დაუბ-რუნოს ბურთი ისევ X²₂ მდგომარეობაში გადასულ X₂ მოთამაშეს, მეორე და მესამე დგარით შექმნილ კარებიდან. X₂ და X₃ მოთამა-შეები, ასეთი წესით გაივლიან გ—დ დგარების რიგს ბოლომდე და როდესაც X₃ მოთამაშე X₃² მდგომარეობაში მიიღებს ბურთს X₃² ადგილზე მისულ მოთამაშისაგან. (უკანასკნელ კარებიდან მაშინ

*) ნახაზებზე მოედნის გამნიშნავი ხაზები ნაჩვენები არ, არის იმიტომ, რომ ნახაზი არ დაიტვირთოს. ასევე არ არის ნაჩვენები, ზოგიერთ მოთამაშეების გა-დადგილების ხაზები, გინაიდან ტექსტი საესებით ნათლად ასახავს მოთამაშის მოძრაობას.



656

ის მიაშურებს ი სექტორს და იქიდან გადააწვდის ბურთს საჯარიმო მოედნის ფარგლებში ა ადგილიდან წამოსულ X მოთამაშეს, ეს უკანასკნელი კი ფეხის გარტყმით ვალდებულია ბურთი გაიტანოს კარებში.

ანალოგიურად მოქმედებს მეორე გუნდი, რომელმაც დაიწყო ბ მდგომარეობიდან, მიაწოდა ბურთი O₁ მოთამაშეს, მან ისევე გაიარა დგარები, გადააწოდა O₂ მოთამაშეს თ სექტორში, O₂ მიიღო ბურთი, და მიაშურა დგარების ე—ვ რიგს წაიღო O¹₂ მდგომარეობამდე და გადააწოდა O₃ მოთამაშეს და როცა ეს ორი მოთამაშე ბურთს გაატარებენ დგარებით შექმნილ ყველა კარებს O₃ მოთამაშე O²₃ მდგომარეობიდან მიაშურებს ვ სექტორს; საიდანაც მიაწვდის საჯარიმო მოედანის ფარგლებში O მდგომარეობიდან მოსულ O¹ მოთამაშეს, რომელმაც ბურთი უნდა გაიტანოს კარებში.

ის გუნდი, რომელიც უფრო მაღე დაასრულებს ალწერილ მოძრაობას ლებულობს ერთ ქულას.

საბოლოოდ მოებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც მთელი თამაშის პროცესში დააგროვებს ქულების მეტ რაოდენობას.

გრძელი გადაცემებით გავიტანოთ გოლი (ნახ. № 2)

ფეხბურთის სათამაშო მოედანზე გვერდითი ხაზებიდან 3—5 მეტრის დაშორებით და მოედნის შუა ხაზიდან 10 მეტრის მანძილზე, პირითი ხაზებისაკენ დაგდგათ ოთხი ერთი მეტრის სიგანის—ა, ბ, გ, დ და გასასვლელები (კარი).


თამაშის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

თითოეულ გუნდში არის 4 მოთამაშე, რომლებიც ნაწილდებიან მოედანზე შემდეგნაირად:

ერთი გუნდის X მოთამაშე დგება მეკარის მოედნის მარცხნა კუთხეში იქ დადებულ ბურთთან, X₁ მოთამაშე და გასასვლელთან X₂—ბ გასასვლელთან და X₃ საჯარიმო მოედნის გარეთ მარჯვენა მხარეს.

მეორე გუნდის O მოთამაშე მოთავსდება მეკარის მოედნის მარჯვენა კუთხეში უძრავად დადებულ ბურთთან, O₁ მოთამაშე ა გასასვლელთან, O₂—გ გასასვლელთან, O₃ კი ისევე როგორც X₃ დიდ საჯარიმო მოედანთან, მხოლოდ მარცხნა მხარეს.

ნიშნით „დაიწყო“ X მოთამაშე ბურთს ფეხის გარტყმით გადასცემს X₁ მოთამაშეს, რომელიც დაიმორჩილებს მას და დ გასასვლელის გავლის შემდეგ გადააწვდის X₂ მოთამაშეს, X₂ სასწრა-



636. 9

ფოდ გაივლის ბ გასასვლელს და ფეხის გარტყმით გადაწვდის ბურთს X_3 მოთამაშეს, დიდი საჯარიმო მოედნის მარჯვენა მხარეს. ეს უკნასენელი საჯარიმო მოედანში შეუსვლელად ურტყამს ბურთს კარებში, შემდეგ გამოიტანს მას კარებიდან, დადებს მექარის მოედნის მარცხენა კუთხეში და გრძელი პასით გადაწვდის X_2 მოთამაშეს, რომელიც ბურთს ელის X_2^1 მდგომარეობაში. მიიღებს რა ბურთს გაივლის ბ გასასვლელს და გადასცემს X_1^1 მდგომარეობაში მყოფ X_1 მოთამაშეს, რომელიც დ გასასვლელის გავლის შემდეგ ბურთს აწვდის X^1 მდგომარეობაში მყოფ X მოთამაშეს. ეს მოთამაშე ღებულობს ბურთს და საჯარიმო მოედანში შეუსვლელად ურტყავს კარებში.

ასეთივე მსვლელობით ჩატარებს ბურთის გადაცემას მეორე გუნდი, სახელდობრ 0 მოთამაშე გადაცემს O_1-O_1 გაივლის ა გასასვლელს, გადასცემს O_2 -ს. O_2 გაივლის გ გასასვლელს და გადააწვდის საჯარიმო მოედანის მარცხენა მხარეს O_3 მოთამაშეს, ეს უკანასენელი გაარტყავს კარებში. თავისავე გარტყმულ ბურთს გამოიტანს კარებიდან და მექარის მოედნის მარცხენა კუთხიდან გადააწვდის O_2 მოთამაშეს O_2^1 მდგომარეობაში იგი გაივლის გ გადასასვლელს და გრძელი გარტყმით მიაწვდის O_1^1 ადგილზე მყოფ O_1 მოთამაშეს, რომელიც ა გასასვლელის გავლით გადააწვდის ბურთს O^1 მდგომარეობაში გამოსულ 0 მოთამაშეს, რომლის მოგალეობასაც შეაღენს საჯარიმო მოედანში შეუსვლელად ბურთი ფეხის გარტყმით გაიტანოს კარებში.

ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე დაამთავრებს მთელ ამ პროცესს, იღებს ერთ ქულას. გუნდი, რომელიც ადრე დააგროვებს 10 ქულას, მოგებულად ჩაითვლება. იმ შეშთხვევაში, როდესაც ბურთი გარტყმის შემდეგ კარებში არ მოხდება, გარტყმა მეორდება იმავე ადგილიდან.


შენიშვნა: თამაშის გართულებისათვის შეიძლება დაიწოოს პირობა, რომ ბურთმა კარებში შესვლის დროს კარების ხაზი გადაკვეთოს ჰაერში.

სწრაფად გავიტანოთ გოლი

(ნახ. № 3)

ფეხბურთის სათამაშო მოედანზე დავაყენოთ დგარები ისე, როგორც ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.

ა—ბ, გ—დ და ე—ვ დგარების ჭრიგი ეკუთნის ერთ გუნდს, ხოლო ზ—თ, ი—კ და ღ—მ მეორე გუნდს.



შეჯიბრებისათვის გუნდები შემდეგნაირად განაწილდებიან: პირველი გუნდის მექარე X_3 დგას ნ კარებში, როდესაც მოწინააღმდეგ შეეცდება კარებში ბურთის გატანას, მას უფლება აქვს გადაინაცვლოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი (მექარის მოედნის) საჯარი-მო მოედნის საზღვრებში. მეორე გუნდის O_3 მექარეც იღჭურვილია იგივე უფლებებით და იცავს პ კარებს. პირველი გუნდის დანარჩენი მოთამაშეები განლაგდებიან X , X_1 , X_2 ჰოზიციებზე, ხოლო მეორე გუნდის კი— O , O_1 და O_2 ადგილებზე.

თამაშის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: ნიშნით „დაიწყო“ X მოთამაშე გრძელი პასით, გადასცემს მექარის მოედნის კუთხეში დადებულ ბურთს X_1 მოთამაშეს, ხოლო მეორე გუნდის O მოთამაშე ისეთივე პასით O_1 მოთამაშეს, ეს უკანასკნელი დაიმორჩილებენ რა ბურთს, შესაბამისად მიაშურებენ X_1 მოთამაშე ა—ბ დგარების რიგს, ხოლო O_1 ზ—თ დგარების რიგს, გაივლიან მათ კლავილად და ერთი X^1_1 მდგომარეობიდან გადასცემს ბურთს გრძელი პასით X_2 მოთამაშეს, ხოლო მეორე O^1_1 ადგილიდან O_2 მოთამაშეს. ესენი ფეხის გარტყმით მიაწვდიან ბურთს შესაბამისად თავიანთ მექარეებს საჯარიმო მოედნის ფარგლებში. მექარეები, უბრუნებენ ბურთებს ისეთნაირად, რომ X^1_2 მდგომარეობაში მყოფმა X_2 მოთამაშემ გაიაროს დგარები დ—გ მიმართულებით, ხოლო O^1_2 მდგომარეობაში O_2 მოთამაშემ გაიაროს დგარები კ—ი მიმართულებით. აღნიშნული მოთამაშები როგორც კი გაივლიან დგარებს, სასწრაფოდ აწვდიან ბურთს ერთი X მოთამაშეს X^1 ადგილზედ გამოსულს, ხოლო მეორე უკვე O^1 მდგომარეობაში მყოფ. O მოთამაშეს, ეს უკანასკნელი შესაბამისად გაივლიან ე—ვ და ლ—მ დგარებს და ვალდებული არიან რა საშუალებებითაც კი შეუძლიათ გაიტანონ ბურთი მოწინააღმდეგის კარებში.


ერთ ქულას ჩაიწერს ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე გაიტანს ბურთს მოწინააღმდეგის კარებში. თუ კარებში გარტყმული ბურთი აიღო, როგორც ერთმა ისე მეორე მექარემ, მაშინ ქულა არც ერთ გუნდს არ ეწერება.

მექარიდან ან კარების ბოძიდან დაბრუნებული ბურთის შეგდება კარებში დასაშვებია, დანარჩენ შემთხვევებში კარები აღებულად არ ითვლება.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ერთერთმა გუნდმა ადრე დაასრულა ესტაფეტა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა, ხოლო მეორე გუნდმა აღნიშნული შეჯიბრება ბურთის გატანით დაასრულა, გუნდებს მიეცემათ ნახევარ-ნახევარი ქულა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეჯიბრების გვიან დამსრულებელმა გუნდმა გოლი ვერ შეაგდო, მაშინ პირველს მიეკუთვნება $1/2$ ქულა, მეორეს კი არაფერი.

ვინ მეტ გოლს გაიტანას ვა საჯარიშო გარტყმიდან (ნახ. № 4)

გუნდში ექვსი ან შვიდი მოთამაშეა. მათგან ერთი მეკარე. საჯარიშო შოედნის გარეთ, კარებიდან 18—25 მეტრის დაშორებით ხელმძღვანელი აირჩევს 5 წერტილს, დაუშვათ ამ შემთხვევაშია ა, ბ, გ, დ, და ე წერტილებს. თვითეულ წერტილიდან გუნდს ეძლევა 5 საჯარიშო გარტყმის უფლება. გუნდი, რომელიც კენჭის ყრის საფუძველზე პირველად ურტყამს ჯარიმას, განლაგდება იმის მიხედვით, თუ საიდან უფრო ხელსაყრელი იქნება მოწინააღმდეგის კარების აღება, ხოლო დამცველი, გუნდი კი აკეთებს კედელს და დანარჩენ მოთამაშეებს გაანაწილებს ისეთნაირად, რომ მოუსპოს ჯარიმის გამრტყმელ გუნდს გოლის გატანის შესაძლებლობა. რო-



დესაც ერთი ჩაატარებს 25 საჯარიმო გარტყმას, შემდგომ ამ გუნდებს შორის როლები შეიცვლება. მოგებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც ბურთების მეტ რაოდენობას გაიტანს 25 საჯარიმო გარტყმიდან.

შენიშვნა: 1. კედლის გაკეთება აუცილებელია. (კედელი ეწოდება მოთამაშეთა რიგს, როდესაც მოთამაშენი ერთიმეორის გვერდით დგებიან და მით ხურავენ კარებს.)


2. თითოეული საჯარიმო გარტყმა დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, როდესაც ბურთი პირით ან გვერდით ხაზს გადაჰკვეთს, ან მექარე აიღებს. მანამდე კი ბრძოლა გრძელდება ფეხბურთის წესების სრული დაცვით.

გარღვევაზე გასულმა გაიტანე გოლი

(ნახ. № 5)

გუნდში 6—10 მოთამაშეა, ერთს პირველი გუნდი ვუწოდოთ, მათ მოწინააღმდეგეს კი მეორე გუნდი.

მეორე გუნდის მექარე O დგება კარებში, დანარჩენი მოთამაშენი განლაგდებიან ცენტრალურ ანუ მოედნის შუა ხაზზე. პირველი გუნდის X₁ მოთამაშე დგება ბურთთან, რომელიც უძრავად დევს, მოედანის ცენტრიდან, გოლისაკენ 10 მეტრის მანძილზედ, ხოლო X₁ მოთამაშის მოწინააღმდეგე O₁ მოთამაშე მოედნის ცენტრში



ნახ. 5

ნიშანით „დაიწყო“ X_1 მოთამაშე მიაშურებს კარებს და ცდილობს ბურთის კარებში გატანას. O_1 გამოეკიდება რათა ხელი შეუშალოს მას მიზნის განხორციელებაში, მეორე გუნდის მექარე O კი შეეცდება ბურთის დაჭრას (აღებას).

თუ X_1 მოთამაშე ბურთს გაიტანს კარებში, მაშინ თვის გუნდს ჩაუწერს ერთ ქულას. X_1 მოთამაშის შემდეგ მის აღვილს დაიჭირს X_2 , შემდეგ X_3 და ასე X_6 -მდე, ხოლო მოწინააღმდეგენი კი იქნებიან O_2 , O_3 და ასე O_6 -დე; შემდეგ გუნდებს როლები შეეცვლებათ, კარებში დადგება პირველი გუნდის X მექარე, ბურთთან შესაბამისად O_1 მოთამაშე მოედნის ცენტრში X , და იგივე წესით O_1 შეეცდება კარების აღებას. X_1 და O_6 კარები კი შეეცდებიან არ მისცენ O_1 ამის საშუალება.


ის გუნდი, რომელიც ამ შეჯიბრების დროს მეტ გოლებს გაიტანს ითვლება მოებულად.

შენიშვნა: იგივე ვარჯიშის შესრულება შეიძლება გუნდების განლაგებით მოედნის შუა ხაზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, იმისათვის, რომ მოთამაშეს კარებთან მისვლა მოუხდეს გვერდიდან.

კუთხური გარტუმიდან ბურთის ძირს დაუშვებლად
გაფიტანოთ გოლი.

(ნახ. № 6)

ნახ 3



თითოეულ გუნდში ხუთი მოთამაშეა. გუნდს ეძლევა 20 კუთხური გარტყმის უფლება. 10 ერთ მხრიდან და 10 მეორე მხრიდან. თამაშის დაწყები გუნდის ერთი მოთამაშე დგება მარჯვენა მხრიდან კუთხური გარტყმის შისაწოდებელ აღვილზე, მეორე მარცხენა მხრიდან იგრეთვე კუთხური გარტყმის მისაწოდებელ აღვილზე. ამავე გუნდის ორი მოთამაშე კი საჯარიმო მოედანს გაიყოფენ. დაუშვათ რომ X_1 მოთამაშეს ეკუთვნის საჯარიმო მოედანის მარჯვენა მხარე X_2 -ს კი მარცხენა. მოწინააღმდეგებ გუნდის მეკარე 0 დგება კარებში. ბურთი ერთხელ მიწოდებული უნდა იყოს მარჯვენა მხრიდან, მეორეთ მარცხნიდან და ა. შ. X_1 და X_2 მოთამაშეები ვალდებული არიან შესაბამისად მათ ზონაში მიწოდებული ბურთი გაუჩერებლივ და ძირს დაუშვებლად (მიწაზე) ფეხის ან თავის გარტყმით გაიტანონ კარებში, რომელსაც, როგორც ვსთქვით იცავს მოწინააღმდეგის 0 მეკარე.

მეკარეს უფლება აქვს იმოქმედოს მისი მოედნის ე. ი. პატარა საჯარიმო მოედნის ფარგლებში (მის საზღვრებს აქვთ გამოსვლის უფლება არა აქვს). კუთხური გარტყმა, რომელიც ჩამოწოდებული იქნება აღნიშნულ აღვილზე მას უფლება აქვს დაიკიროს და უშუალოდ შებრძოლებით მოუსპოს თავის მოწინააღმდეგებს ბურთის კარებში გატანის შესაძლებლობა.

როდესაც ერთი გუნდი მოათავებს 20 კუთხური გარტყმის ჩამოწოდებას, კარებში დგება ამ გუნდის მეკარე, მოწინააღმდეგის 0₁, 0₂, 0₃, და 0₄ მოთამაშეები კი დაიკავებენ X_1 , X_2 , X_3 , და X_4 -ის აღვილებს და შეასრულებენ ისეთსავე წესით 20 კუთხურ გარტყმას. მოგებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც მეტ ბურთებს გაიტანს მოწინააღმდეგის კარებში. ცუდათ მიწოდებული კუთხური გარტყმა ან კიდევ, მიწაზე ბურთის დაცემის შემდეგ კარებში გატანა შეცდომათ ითვლება და გუნდს განმეორებითი გარტყმის უფლება არ მიეცემა. მოთამაშეს უფლება აქვს ბურთი ძირს დაუშვებლად ე. ი. ჰაერში მოიმარჯვოს ან მისსავე ამხანაგს გადააწოდოს და ამ უკანასკნელმა შეასრულოს კარებში გარტყმა.

8. „ლამე“ და — „ლამურა“ (ნახ. № 7)

თითოეულ კარებთან, კარებიდან 18—25 მეტრის მანძილზე დაეწყობა იმდენი ბურთი, რამდენიც მოთამაშეა თითოეულ გუნდში.


მოთამაშეები ლაგლებიან მოედნის შუა ხაზის აქტო-იქით, ერთიმეორისაგან 2—3 მეტრის დაშორებით. ერთ გუნდს დავარქვათ „ლამე“, მეორეს — „ლამურა“, თუ ხელმძღვანელმა „ლამე“ დაიძახა, „ლამეს“ მოთამაშეები გარბიან ბურთებისაკენ და ცდილობენ ბურთი ფეხის გარტყმით გაიტანონ ა კარებში, გუნდ „ლამურას“ მოთა-

128.265
3

ମାଶ୍ରେନ୍ଦ୍ର କ୍ଷି ଶ୍ରେପଲ୍ଲେବୀନ ମାତ ଫୁଳଟ୍ଟାନ ଦ୍ୱାରା ଓ ଗାଢାପିଲଙ୍କ ନଗି
ମନ୍ତ୍ରେଣିକୁ ସାହିତ୍ୟରେ ଥିଲା.

ଗାତ୍ରାନିଲିଙ୍ଗ ଦ୍ୱାରା ରାମଦେଵନବା ହିଂକପଲ୍ଲେବା ଗୁଣଦିଲ୍ଲି ମନ୍ତ୍ରେ
ମନ୍ତ୍ରଗର୍ବର୍ଣ୍ଣିଲିଙ୍ଗ ଦ୍ୱାରା ରାମଦେଵନବାଙ୍ମାଦ.

ଅମିଲ୍ଲି ଶ୍ରେମଦ୍ଭଗବତପାଠିକ ଗାନ୍ଧାରାଗଦ୍ୱେବୀନ ବିଶ୍ୱାସ ସାହିତ୍ୟରେ ଉଦ୍‌ଘାଟିତ



ପ୍ରମାଣିତ
6୩. 7

და ელიან ხელმძღვანელის ძახილს. თუ ხელმძღვანელმა ეხლა „დამურა“ დაიძახა, მოთამაშებს როლები შეეცვლებათ ე. ი.— „დამურას“ მოთამაშენ ცდილობენ ბურთის გაყვანას ბარებში, ხოლო „ლამეს“ მოთამაშენ კი შეეცდებან ხელის შეშლას. განსაზღვრული დროის შემდეგ ხელმძღვანელი შეარჩევს ისეთ მომენტს, როდესაც ორივე გუნდებს მოწინააღმდეგის კარების აღების ერთნაირი შესაძლებლობა პქონდათ, მაშინ შესწყვეტს თამაშს და რომელ გუნდსაც მეტი ბურთები ექნება გატანილი, ჩაითვლება მოგებულად.

- შენიშვნა:** 1) თამაში გრძელდება მანამდე, სანამ უკანასკნელი ბურთა არ გადასცილდება მოედნის საზღვრებს.
 2) ხელმძღვანელს მოთამაშები შეუძლია გაანლაგოს მოედნის შუაზე ერთმანეთის მიმართ სახით, ზურგით, ჩაჩოქილები, წამოწოლილები და სხვა.
 3) ბურთების და მოთამაშეთა რიცხვობრივი ტოლობა აუცილებელი არ არის.

სწრაფად შემოფუაროთ დგარებს (ნახ. № 8)

სიმეტრიის ა-ბ ხაზიდან, რომელიც გადის ბურთის მოსარტყმელ კარების შუაზე, 6 მეტრით შარჯვნივ და მარცხნივ ა—ბ ხაზის პარალელურად (ერთი მეორისაგან 2 მეტრის დაშორებით) დავდგათ რიგში 7—8 დგარი თითოეულში. რიგების დასაწყისში სიმეტრიის ხაზიდან 8 მეტრის მოშორებით გავაკეთოთ 0,5 მეტრის სიგანის გასასვლელები გ და დ, რომლებსაც უცწოდოთ ბურთის გადასაცემი კარებები.

დგარებით გაკეთებულ რიგების ბოლოებში, ორი მეტრის მოშორებით სიგრძის მხრივ და 3 მეტრით შიგნით სიმეტრიის ხაზისაკენ დავყენოთ ბურთის მოსარტყმელი კარების, სამიზნებელი კარები ე და ვ, ერთი მეტრის სიგანისა. მოსარტყმელ და სამიზნებელ კარებს შორის მანძილი შეიძლება იყოს 15 მეტრიდან 20 მეტრამდე. ორი გუნდი, რომელშიც 5-დან 8-მდე მოთამაშეა, განლაგდებან ზ—თ ხაზზე თავინთი დგარების დასაწყისში. თამაშის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

ნიშანით „დაიწყო“ თითოეული გუნდის პირველი ნომერი მოთამაშე, კლავნილად ფეხით შემოატარებს ბურთს დეარებს შორის, როგორც ნაჩერებია № 8 ნახაზზე. ორთავე გუნდის პირველი მოთამაშები გაივლიან დგარებს, მიაშურებენ პირველ გუნდის ე და მეორის ვ სამიზნებელ კარებს, საიდანაც შიგ გაუსვლელად ურტყამენ მოსარტყმელ კარებში. შემდეგ მოთამაშე გარბის კარებში, გამოაქვს

8

x_1, x_2, x_3, x_4

5

o_1, o_2, o_3

o₂



5

6, 6, 8

ბურთი და დრიბლინგით მიაქვს თავისი გუნდის განლაგების მხარეს და გადასცემს მას თავისი გუნდის შემდეგ მოთამაშეს შესაბამისად გ და დ კარებებიდან.

მეორე ნომერი მოთამაშეები გაივლიან ისეთსავე გზას, როგორიც პირველებმა გაიარეს და გადასცემენ ბურთს შემდეგ ნომერს და ა. შ. ის გუნდი, რომელიც უფრო ადრე დაამთავრებს „ესტაფეტას“, ითვლება მოგებულად.

უველა დგარები მოთამაშის მიერ წესიერად უნდა იქნეს გავლინი, იმ შემთხვევეაში თუ მან სწორედ არ შემოუარა რომელიმე დგარს დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაბრუნებული დარღვევის ადგილზე და შემდეგ განაგრძოს გზა. თუ მოთამაშის მიერ სამიზნებელ კარებიდან გარტყმული ბურთი ვერ მოთავსდა „მოსარტყმელ კარებში“, მაშინ ის ვალდებულია დააბრუნოს ბურთი ისევ უკან და გაიმეოროს გარტყმა მანამდე სანამ ბურთს არ გაიტანს კარებში. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ მოძრაობის დროს დგარი წააქცია იგი ვალდებულია, ჯერ დააყენოს დგარი ადგილზედ და შემდეგ განაგრძოს გზა.

შენიშვნა: თამაში გართულდება თუ დავდებთ პირობას, რომ მოთამაშეებმა თვითეული დგარის გარშემო ბურთით გააკეთოს წრე და მოსარტყმელ კარებში სამიზნებელ კარებიდან გაგზავნილმა ბურთმა კარების ხაზი ჰაერში გადაკვეთოს.

ვინ მეტ გოლს გაიტანს სამი პირითი აუტის გაკეთებაშდე

თამაში სწარმოებს საჯარიმო მოედნის ფარგლებში. გუნდში შეიძლება იყოს 6 მოთამაშემდე. ერთი გუნდი ცდილობს გოლის გატანას, რომელსაც იცავს მეკარე და დანარჩენი მოთამაშეები. თავდამსხმელები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ბურთი გაიტანო დამცველთა კარებში სანამდე არ გაკეთდება 3 პირითი აუტი. თამაში მიმდინარეობს ფეხბურთის წესების სრული დაცვით.


ვსოდეთ, თავდამსხმელებმა მანამდე, სანამ გაკეთდა 3 პირითი აუტი, დამცველთა კარებში 4 ბურთი გაიტანეს და შემდგომ გარტყმაზე კი გაკეთდა მესამე აუტი, მაშინ თავდამსხმელები გადაიჭივიან დამცველებად და დამცველები კი თავდამსხმელებად. ამ შემთხვევაში წელან თავდამსხმელები, ეხლა კი დამცველები ეცდებიან

თავის მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება მალე გააკეთებინონ 3 პირი-
თი აუტი და არ შეაგდებინონ კარებში არც ერთი ბურთი. ხოლო
წელანდელი დამცველები, ამჟამად თავდამსხმელები, ეცდებიან მათ
კარებში სამი აუტის გაკეთებამდე გაიტანონ ბურთების მაქსიმალუ-
რი რაოდენობა. მოგებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც 3
პირითი აუტის გაკეთებამდე ბურთების მეტ რაოდენობას გაიტანს.

გითამაშოთ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე

(ნახ. № 9)

ორი, საჯარიმო მოედნის ზომის სწორკუთხედი თავისი ნორ-
მალური კარებებით, განვალავოთ ერთიმეორისაგან 15-20 მეტრის მო-
შორებით, იმგვარად, როგორც ნაჩერებიანახ. № 9. თამაში ეუნდა



ნახ. 9

ჩატარდეს ფეხბურთის თამაშის წესების სრული დაცვით. „თამაში გარეთ“ არ ითვლება ბურთის ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორეში გადასვლის დროს. თვითეული გუნდი ცდილობს თამაში აწარმოს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და მათ კარებში გაიტანოს ბურთების შესაძლო რაოდენობა. თვითეულ გუნდში მეკარეების ჩათვლით 8-11 მოთამაშეა.

გუნდები აირჩევენ კარებს და განლაგდებან საჯარიმო მოედნებზე. თვითეულ გუნდში დამცველთა და თავდასხმელთა რიცხვი ტაქტიკური მოსაზრებით განისაზღვრება. მაგალითად: ოუ გუნდში 10 მოთამაშეა მას შეუძლია მოწინააღმდეგის მოედანზე გააგზავნოს 6 მოთამაშე, ხოლო თაგის კარების დასაცავად დატოვოს 4 მოთამაშე შეკარის ჩათვლით. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგებს შეუძლიან დაცვაში 3 დაიტოვოს და 7 თავდამსხმელად გაგზავნოს. თამაშის დაწყების შემდეგ კი არც ერთი მოთამაშეს არა აქვს ერთი საჯარიმო მოედანიდან მეორებზედ გადასვლის უფლება.

ყოველი ბურთის გატანის შემდეგ გარტყმა სრულდება. კარებიდან თავისუფალი გარტყმის წესით (აუტი).

მოთამაშე, რომელიც ასრულებს აღნიშნულ გარტყმას ვალდებულია ბურთი გადაგზავნოს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანის ფარგლებში, საღაც დაიწყება ბრძოლა კარების აღებისათვის და მის დასაცავად.

დავუშვათ ამ შებრძოლებიდან გამარჯვებული დამცველი გამოვიდა, მისი ვალია ბურთი ფეხის გარტყმით საჩქაროდ გადაგზავნოს თავისი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, საღაც გაგრძელდება ჩვეულებრივი ბრძოლა, კარების აღებისათვის. საჯარიმო მოედანს გაცილებული ბურთი თამაშში შეიყვანეს გვერდითი აუტის შემოტანის წესით. მაშინ, როდესაც ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორისაკენ გარტყმული ბურთი არ ჩავარდა მის საზღვრებში, ბურთი თამაშში შეაქვს მოწინააღმდეგები გუნდის მოთამაშეს გვერდითი აუტის შემოტანის წესით, იმ ადგილიდან, საღაც ბურთმა მოედნის გამნიშნი ხაზი გადაკვეთა.

12. დაგეწიოთ ჩვენს მოწინააღმდეგეს

(ნახ. № 10)

ათი მეტრი დიამეტრის წრეხაზზე დავაყენოთ 8 ლგარი ერთი-მეორისაგან თანაბარ მანძილზე დაშორებით. თვითეული გუნდში შეიძლება იყოს 4—8 მოთამაშე. თამაშის იშეუბს პირველი გუნდი—ა წერტილიდან, სადაც უძრავად დევს ბურთი, ხოლო მეორე, ბ წერტილიდან. თამაშის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:



8.

ნახ. 10

პირველი გუნდის მოთამაშე დგება ა წერტილში, (ნახ. № 10) სა-
ზით ბურთისაკენ, მეორე გუნდის მოთამაშე კი ბ წერტილში. ნიშნით
„დაიწყო“ მოთამაშები დაიწყებენ ბურთის ტარებას საათის ისრის
მიმართულებით, წრე ხაზზე მდებარე დგარების შემოვლით კლაკნი-
ლად. თვითოული ცდილობს დაეწიოს მის მოწინააღმდეგეს. მაგალი-
თად: თუ ა წერტილიდან გასული მოთამაშე, დაეწია ბ წერტილიდან
გასულ მოთამაშეს, მაშინ ა წერტილიდან გასულ მოთამაშის გუნდს
ეძლევა 8 ქულა, ე. ი. იმდენი, რამდენი დგარიც არის მის უკან მეორე
გუნდის მოთამაშის წინ მდებარე დგარამდე. მოწინააღმდეგეს კი ეძლე-
ვა 0 ქულა.

იმ შემთხვევაში თუ სამი ჭრის დარტყმამდე ვერც ერთი მოთამაშე
ვერ დაეწია თავის მოწინააღმდეგეს, მშინ იმ მომენტში როგორც კი
ერთ-ერთი მოთამაშე შეასრულებს 3 ჭრეს, ე. ი. მაგალითად ბ წერ-
ტილიდან გასული მოთამაშე მესამედ მოვიდა აღნიშნულ წერტილში,
ხელმძღვანელი იძლევა განკარგულებას „სდექ“, ორივე მოთამაშე
ჩერდება ადგილზე და ბ წერტილში მესამეთ მისული მოთამაშის
ზურგს უკან და ა წერტილიდან გასული მოთამაშის წინ მოთავსე-
ბული დგარების რიცხვი, იქნება ბ წერტილიდან გასული მოთამაშის
ქულების რაოდენობა. დანარჩენი კი ა წერტილიდან გასული მოთა-
მაშის ქულების რაოდენობა:

მაგ. თუ ბ წერტილიდან გასული მოთამაშის ზურგიდან, და
ა წერტილიდან გასულ მოთამაშის შორის დგარების რაოდენობა
ხუთია, მაშინ ბ წერტილიდან გასულ მოთამაშის მიერ შეძნილი ქუ-
ლათა რაოდენობა 5 უდრის, ხოლო მოწინააღმდეგისა კი დანარ-
ჩენ სამს. მოგებულად ითვლება ის გუნდი, რომელიც საბოლოოდ
მეტ ქულებს მოაგროვებს.

18. ყველა ბურთები ერთ მხარეს

მოედანი სიგრძით 60×80 მეტრამდე და სიგანით 20×50 მეტ-
რამდე იყოფა შუა ხაზით.

გუნდში შედის 4—8 მოთამაშემდე, რომლებიც ლაგდებიან მოედ-
ნის თავიანთ ნახევრებზე.

თითოეულ გუნდს ეძლევა ორი ან სამი ბურთი.

ნიშნით „დაიწყო“ ორივე გუნდის მოთამაშები მიწაზედ უძრა-
ვად დადებულ ბურთებს ურტყავენ მოწინააღმდეგის მოედნისაკენ და
ამავე დროს ელიან მოწინააღმდეგის მიერ გარტყმულ ბურთებს,
რათა ისინი რაც შეიძლება ჩქარა, ფეხის ან თავის გარტყმით, დააბ-
რუნონ მოწინააღმდეგის მოედანზე.

თვითოული გუნდის მიზანია მიაღწიოს იმ მომენტს, რომ ყველა
ბურთები მოათავსოს მისი მოწინააღმდეგის მხარეზე, რითაც გუნდი
დაიმსახურებს ერთ ქულას.

იმ შემთხვევაში, თუ ერთერთი გუნდის მოთამაშის მიერ გარტყ-
მული ბურთი არ დაეცა მოწინააღმდეგე გუნდის მოედნის საზღვ-
რებში ე. ი. გადასცილდა სათამაშო მოედანს, მაშინ მოწინააღმ-
დეგი გუნდს ეძლევა ერთი ქულა. თამაშის დროს მოწინააღმდეგის
მოედანზე გადასცლა არ შეიძლება.

შენიშვნა: ჩაც უფრო შემცირდება გუნდებში მოთამაშეთა
რიცხვი და გაიზრდება ბურთების რაოდენობა, თამაში
მით უფრო გართულდება.

14. გადააცილეო ბურთი მოწინააღმდეგის პირითი ხაზს

(ნახ. № 11)

მოედანი სიგრძით 80×110 მეტრამდე, სიგანით 30×70 მეტ-
რამდე, გაყოფილია შუაზე პირითი ხაზების პარალელური ხაზით.

თითოეულ გუნდში თამაშობს ორიდან ოთხ მოთამაშემდე. თამა-
შის დაწყების წინ გუნდები განლაგდებიან შუა ხაზიდან თავისი მოედ-
ნის პირითი ხაზისაკენ 20—25 მეტრის მანძილზე ისე, რომ თამაშის
დაწყების წინ მოწინააღმდეგე გუნდებს შორის მანძილი 40—50 მეტ-
რამდე იყოს.

ნიშნით „დაიწყო“ იმ გუნდის წევრი, რომელმაც კენჭის ყრით
დაწყებითი გარტყმის უფლება მიიღოვა აკეთებს რაც შეიძლება
ძლიერ გარტყმის განლაგების ადგილიდან წინ, უძრავად მდგრად
ბურთზე, მოწინააღმდეგის მოედნისაკენ ისეთნაირად, რომ ბურთი
არ გადავიდეს გვერდითი ხაზს იქნით.


გარტყმულ ბურთზე მოწინააღმდეგემ საწინააღმდეგო მიმართუ-
ლებით გარტყმითვე უნდა უპასუხოს. ბურთის გაჩერება ფეხით,
გასწორება — ან მისივე გუნდის წევრზე გადაცემა აკრძალულია.
თვითეული გარტყმის შემდეგ როგორიცაც არ უნდა იყოს ის, შემდე-
გი გარტყმის უფლება ეძლევა მოწინააღმდეგე გუნდს, თუნდაც ეს
მოედნის მის ნახევარზე იყოს.

თვითეული გუნდის მიზანია ბურთი გადააცილოს მოწინააღმ-
დეგე გუნდის პირითი ხაზს, რაც მას შესძენს ერთ ქულას.

გუნდს ეძლევა ერთი ქულა იმ შემთხვევაშიც, თუ მოწინააღმდე-
გის გარტყმით ბურთი არ შეეხო შემოფარგლულ მოედანს და ისე
გადასცილდა გვერდითი ხაზს.

12 ქულის დაგროვების შემდეგ გუნდები იცვლიან მხარეებს;
მის შესაბამისად გადადის დაწყებითი გარტყმაც.

შენიშვნა: რაც უფრო დაგავიწროვებთ მოედანს, თამაში მით
უფრო გართულდება.



655. 11

სწრაფად დაგაბრუნოთ ბურთი თავის ადგილზე

(ნახ. № 12)

ფეხბურთის მოედნის მთელი სიგრძე გავანაწილოთ 4 მოთამაშეს შორის ისე, რომ მოედნის თავში და ბოლოში პირითი ხაზებზე მოთავსდეს თითოეული გუნდის პირველი და მეოთხე მოთამაშე, მეორე და მესამე მოთამაშე კი ისეთნაირად განაწილდებიან, რომ მოთამაშეთა შორის მანძილი დაახლოებით თანაბარი იყოს.

თვითეული გუნდის პირველ ნომერ მოთამაშეს პირითი ხაზზე უდევს ბურთი. ნიშანით „დაიწყო“ აღნიშული მოთამაშები ურტყავენ ბურთს ფეხს და გადასცემნ თავიანთ მეორეებს, მეორე რაც შეიძლება სწრაფად გადასცემს, მესამეს, მესამე მეოთხეს ეს უკანასკნელი გააჩერებს ბურთს პირით ხაზზე და უძრავად დადებულ ბურთს ისევ ფეხის გარტყმით უბრუნებს მესამეს, მესამე—მეორეს, მეორე—პირველს. პირველი საჩქაროთ აჩერებს ბურთს პირითი ხაზზე. ის გუნდი რომელიც უფრო ადრე დააბრუნებს და გააჩერებს ბურთს პირითი ხაზზე, ლებულობს ერთ ქულას, მოწინააღმდეგვ კი ნოლს.

ვინც უფრო ადრე მოაგროვებს 12 ქულას ითვლება მოგებულათ.

შენიშვნა: ეს თამაში შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად სამი გუნდისათვის, ამ შემთხვევაში პირველ ადგილს მიეკუთვნება ორი ქულა, მეორეს ერთი ქულა და მესამეს ნოლი.


ბურთი სწორკუთხედში

ოთხი-ორის, ოთხი-სამის, ხუთი-სამის ან ექვსი-ოთხის ჭინააღმდეგ მოთამაშები განლაგდებიან მოედნაზე, რომლის ზომა შეიძლება შეიცვალოს 40×30 მეტრიდან, 10×40 მეტრის ფარგლებში.

თამაშის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

მოთამაშეთა ნაკლებ რიცხვს ვუწოდოთ „წამრთმევები“, რომლებიც შედიან მოედნის შუაგულში, მოწინააღმდეგვ ჯგუფის მოთამაშეები კი განლაგდებიან მოედნის ფარგლებში იმგარად, რომ შესაძლებელი იყოს ბურთის ერთი მეორისათვის გადაცემა.

ნიშნის შემდეგ, „წამრთმევები“ ცდილობენ ბურთით ფეხით წაართვან თავიანთ მოწინააღმდეგებს (მათ „მაწვალებლები“ ვუწოდოთ) რომლებიც თავის მხრივ გადასცემნ ბურთს ერთი მეორეს იმგარად, რომ „წამრთმევებს“ არ მისცენ ბურთის აღების საშუალება. თუ გადაცემის დროს მოთამაშემ ბურთი ვერ გადასცა ზუსტად თავის ამხანაგს და იგი გადასცილდა სათამაშო მოედნის ფარგლებს, ან მას ბურთი წაართვა „წამრთმევმა“ და გარტყმით გადააცილა



656 12

მოედნის ფარგლებს, მაშინ ერთი წამრთმევი ხდება „მაწვალებლელი“ და მის ადგილზე წამრთმევად შედის ის, რომელსაც ბურთი წაართვეს ან კიდევ არა ზუსტი გადაცემით ბურთი მოედანს გადაცილა.

„წამრთმევები“ გადაიქცევიან „მაწვალებლებათ“ რიგრიგობით.

ამ თამაშის გართულება შეიძლება შემდეგნაირად:

1. „მაწვალებლებს“ მივცეთ უფლება ბურთს შეეხონ მეორე მოთამაშეზე გადამცემი გარტყმის ჩათვლით სამჯერ, ორჯერ, ან ერთხელ.

ამ შემთხვევაში, გარდა ზემოთ აღნიშნულ პირობებისა, „მაწვალებლობიდან“ წამრთმევად გადასვლას გამოიწვევს პირობის თანახმად თქმულზე მეტი გარტყმა.

2. მოედანის ზომების შეცვლა სიგრძის და სივანის მიხედვით თამაშის გაართულებს ან გაადვილებს.

ვინ უფრო მაღვ დაბრუნდება წრეში

(ნახ. 12)


სათამაშო მოედანზე, ერთი-მეორისაგან 5 მეტრის დაშორებით შემოხაზულია 3 მეტრი დიამეტრის წრეები, რომლებშიდაც მოთაგსებულია X და O გუნდები (იხ. ნახ. 13). თითოეული გუნდის მოთამაშეს აქვს თავისი საკუთარი ნომერი — „პირველი“, „მეორე“, „მესამე“ და ა. შ. გუნდში შეიძლება იყოს ათ მოთამაშემდე. თამაშის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

ხელმძღვანელის ძახილზე — „მესამე“, X გუნდის „მესამე“ ნომერი მოთამაშე და O გუნდის „მესამე“ ნომერი ეკვეთებიან თავიანთ წრეში მოთაგსებულ ბურთს და მაშურებენ 0,6 მეტრის სიგანის გასასვლელებს: X გუნდის „მესამე“ — ა გასასვლელს და O გუნდისა

კი ა გასასვლელს. გაივლიან რა აღნიშნულ გასასვლელებს გააკეთებენ წრეს შესაბამისად ბ და ბ₁ დგარების გარშემო, შემდეგ მიაშურებენ თავიანთ 3 და 3₁, დაბრკოლებებს, მოუვლიან მათ და ა და ა₁ გასასვლელების გავლით შევლენ თავიანთ წრეებში. ის მოთამაშე, რომელიც უფრო აღრე დაამთავრებს აღნიშნულ გზას, თავის გუნდს ჩაუწერს ერთ ქულას.

გუნდი, რომელიც ქულების მეტ რაოდენობას მოაგროვებს, ითვლება მოგებულად.

ხელმძღვანელებმა გუნდები შეიძლება წრეში დააყენონ ფეხზე ერთ რიგათ, გაბნეულათ, ჯდომელა და მუცელზე ან ზურგზე დაწოლილები ყავდეს და ისე იძლეოდეს მოულოდნელ შეძახილს: „მესუთე“, „მეორე“, „პირველი“ და ა. შ. ზოგჯერ შეიძლება ერთი და იგივე ნომერის ორჯერ ზედიზედ გამეორება.



656 13


შენიშვნა: თამაში გართულდება თუ თითოეულ წრეში ორ-ორი ბურ-თი იქნება და შემდეგ ნომერს ხელმძღვანელი რამო-დენიმე წამის შემდეგ დაიძახებს.

ფეხჩოგბურთი (ნახ. № 14)

მოედანზე, რომლის სიგრძე 20—40 მეტრია და სიგანე 10—20 მეტრამდე, სიგანეზე გავაბათ 1,2—1,5 მეტრის სიმაღლის ბადე (თოკი). სათამაშო მოედნის ბოლოებიდან ბადის პარალელურად მოეზომოთ 2,5 მეტრის მანძილები და მიღებული წერტილები ა, ბ-სთან ხოლო გ დ-სთან შევაერთოთ (იხ. ნახ. 14), მიღებულ (და-შტრიხულ) ფართობებს ვუწოდოთ ბურთის მისაწოდებელი მოედანი. კრწის ყრით გუნდები, რომლებიც შეიძლება შესდგებოდეს 2—5 მო-თამაშისაგან, ირჩევენ მხარეებს. ვინც მხარეს აირჩევს მის მოწინააღმდეგეს ეძლევა თამაშის დაწყების უფლება. თამაშის დამწყები გუნდის ერთი მოთამაშე დება ბურთის მისაწოდებელი მოედნის ფარგლებში, მეორე კი ბადესთან და ბურთის ესვრის ხელით პირველს ფეხზე, რომელიც ვალდებულია ფეხის გარტყმით ჩაგდოს იგი მოწინააღმდეგის მოედნის ფარგლებში თუ ეს ვერ იქნა შესრულებული, შაშინ მოწინააღმდეგე გუნდს ეძლევა ერთი ქულა.

როდესაც ბურთი სწორად შეაჭვთ თამაშში, გუნდს უფლება ეძლევა ბურთი ერთხელ დაუშვას მიწაზე, შემდეგ კი თავის ან ფეხის გარტყმით გადაგზავნოს იგი ბადის ზემოთა მხრიდან მისი მოწინააღმდეგის მოედანზედ, ან მიაწოდოს თავის გუნდის წევრს აუცილებლად ერთი გარტყმით, ვინაიდან ერთ და იმავე მოთამაშეს ბურთზე ორჯერ ზედიზედ ფეხის ან თავის გარტყმის უფლება არა აქვს. საბოლოოდ მესამე გარტყმით ბურთი აუცილებლად უნდა იქნეს გადაგზავნილი მოწინააღმდეგის მოედანზე. თუ გაკეთებული იქნა მეოთხე გარტყმა, ან პირველი, მეორე ან მესამე გარტყმით ბურთი გადასცილდა მოწინააღმდეგის მოედნის ფარგლებს, ხაზისა და მისაწოდებელი მოედნის ჩათვლით ან კიდევ ბურთი დაეცა მის მოედანზედ და ისე გადავიდა მეორე მხარეს, თვითეულ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ეძლევა ერთი ქულა.

რომელიმე გუნდის მოედანზე ბურთის მიწაზე ორჯერ დაცემა მოწინააღმდეგეს აძლევს ერთ ქულას.



696. 14

— මෙම ප්‍රංශය සඳහා ප්‍රතිච්‍රිත කළ තුළ යුතු වේ.

3. 8. පොනුවලාගා.



მოგებულად ითვლება ის მხარე, რომელიც უფრო ადრე დააგროვებს 15 ქულას, რის შემდეგ გუნდები სცვლიან მხარეებით და შემდგომი 15 ქულის დაგროვებამდე ბურთის მიწოდების უფლება ეძლევა იმ გუნდს, რომელსაც აქამდე იგი არ მიუწოდება.

საბოლოოდ მოგებულად ჩაითვლება ის, ვინც უფრო ადრე მოიგებს 3 შეხვედრას.

შენიშვნა: თამაშის გართულება შეიძლება იმით, რომ გუნდი დავაგოლდებულოთ ბურთის თამაში შესვლის შემდეგ, მისი შემწინააღმდეგის მოედანზედ გადაყანა შეიძლებოდეს აუცილებლივ მესამე გარტყმით და გამოვრიცხოთ ბურთის მიწაზე დაცემის უფლება. ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს მიეცემა ქულა.

ჩავაგდოთ ბურთი სწორკუთხედში

(ნახ. 15)

გუნდში 4—6 მოთამაშეა.

თითოეული გუნდის გოლს ჭარმოადგენს 6 მეტრის სიგრძის და 4 მეტრი სიგანის სწორკუთხედი, რომელთა შორის მანძილი 30—40 მეტრია. სწორკუთხედების განლაგება მოედანზე შეიძლება სხვადასხვაგარად (იხ. ნახ. 15) ეს დაშოკიდებულია ხელმძღვანელზე.


პირველი გუნდი სდებს ორ ბურთს (შეიძლება მეტიც) თავის სწორკუთხედში და ურტყაშს მოწინააღმდეგის სწორკუთხედისაკენ იმ ანგარიშით, რომ ბურთის პირველი ვართა მოხდეს სწორკუთხედის ფართობზედ. თუ ბურთი მოხვდა მიზანს, გამრტყმელ გუნდს ეწერება ქრთი ქულა. იმ შემთხვევაში, როდესაც ბურთი მოხვდება სწორკუთხედის გარეთ და შემდეგ ჩავარდება შიგ ამოცანა შესრულებულად არ ჩაითვლება.

გარტყმულ ბურთებს ასევე უძრავად დასდებენ თავიანთ სწორკუთხედებში მეორე გუნდის წევრები და შეეცდებიან ასეთივე გაორტყმით, მოათავსონ ბურთები პირველი გუნდის სწორკუთხედში. თამაშის დამთავრებისათვის მოგებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც შეტჯერ მოარტყავს ბურთს მიზანში.

შენიშვნა: გარტყმული ბურთის შეხების უფლება მოწინააღმდეგეს არა აქვს მანამ, სანამ იგი არ შეეხება მიწას.

ბურთი წრეში

წრეში რადიუსით 10 მეტრიდან 15 მეტრამდე განლაგდება ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე გუნდი. თვითეულში 3—5 მოთამაშეა. კენჭის ყრია ერთარეთ გუნდს ეძლევა ბურთი. ბურთის მქონე



656. 15

გუნდის მიზანია, რომ მოწინააღმდეგეს არ დაუთმოს ის ისეთნაირად რომ არ გასცილდეს წრეხაზის მიღამოებს, დასაშვებია ბურთის ტარება (დრიბლინგი) და მისივე გუნდის წევრისთვის გადაცემა. მოწინააღმდეგის მიზანს კი შეაღენს მისი წართმება. როდესაც ბურთი—ბურთის მფლობელის მოწინააღმდეგეს ჩაუვარდება, ფუნქციები იცვლება და თუ აქმდე ბურთის მფლობელი გუნდი ცდილობდა იგი არ დაეთმო მოწინააღმდეგისათვის, ახლა პირიქით ცდილობს ბურთის უკან დაბრუნებას, ფეხბურთის თამაშის წესებით დასაშვები საშუალებებით.

თუ ბურთი გადასცილდა წრეხაზის ფარგლებს, რომელიმე მოთამაშის გარტყმით ან მასზე ბურთის შეხებით, მაშინ ბურთის თამაშში შემოტანის უფლება ეძლევა მოწინააღმდეგე გუნდს. ბურთი თამაშში შეიტანება წრეხაზის გარედან იმ წესების დაცვით, რომელიც მოითხოვება ფეხბურთის თამაშში გვერდითი აუტის დროს.

თამაში გართულდება: თუ ბურთზე ფეხის გარტყმის რაოდენობას შევზღუდავთ.

„რვიანში ორი გოლი“

(ნახ. № 16)


რვიანისმაგვარ მოედანზე, რომლის ზომებიც ნაჩვენებია ნახ. № 16 დაღმულია დგარებით შექმნილი ა და ბ კარებები, რომლის სიგრძე 2—4 მეტრია, ხოლო სიმაღლე 1—1,5 მეტრი. კარები ზემოდან გადაჭიმულია კანაფით.

ერთმანეთის მოწინააღმდეგე გუნდები განლაგდებიან მოედანზე.

თამაშის შინაარსი მდგომარეობას მოწინააღმდეგის კარებში ბურთების მაქსიმალური რაოდენობით გატანაში, ფეხბურთის წესების სრული დაცვით (თამაშგარე წესის და კუთხური გარტყმის წესის გამორიცხვით).

მოედნის საზღვრებიდან ბურთის გასვლის შემთხვევაში, იგი თამაშში შემოტანება გვერდითი აუტის შემოტანის წესით. მოედნის ერთი ნახევრიდან მეორეში გადასცლა შეიძლება მოედნის ყელიდან. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი გუნდის კარებში დაინიშნება 10 მეტრის მანძილიდან საჯარიმო გარტყმა. ამ გარტყმის დროს ბურთმა კარები (რომელსაც არავინ არ იცავს) უნდა გაიაროს ჰაერში. ყოველი დაწყებითი გარტყმა სრულდება ხელით გვერდითი აუტის შემოტანის წესით.

თითოეულ გუნდში 6—8 მოთამაშეა.



605. 16

რომელი გუნდი შეტს აკენწლავს

თვითეულ გუნდში უნდა იყოს 3-5 მოთამაშე. შევაჯიბროთ ისინი ბურთის აკენწლაში—ეს ხდება შემდეგნაირად:

პირველი გუნდის მოთამაშეები სათითაოდ აკენწლავენ ბურთს ფეხით. ბურთის ძირს დაცემა შეცდომად ითვლება. დავუშვათ ასეთ შეცდომამდე ერთმა აკენწლა 10-ჯერ, მეორემ 15-ჯერ, მესამემ 8-ჯერ, მეოთხემ კი 13-ჯერ, მაშინ თუ გუნდში 4 კაცია, მათი საერთო ძალა ჯამში მიღებული რიცხვით განისაზღვრება, ე. ი. $15+10+8+13=46$

თუ მეორე გუნდმა საერთო ჯამში, დავუშვათ, 49 მოაგროვა ის ითვლება მოგებულად და ღებულობს ერთ ქულას. საბოლოო გამარჯვებულად ჩაითვლება გუნდი, რომელიც ქულების მაქსიმალურ რაოდენობას მოაგროვებს.

თამაში გართულდება თუ დავდებთ პირობას, რომ აკენწლა შეიძლება:

- 1 მხოლოდ მარჯვენა ფეხით;
2. მხოლოდ მარცხენა ფეხით;
3. ყოველი გარტყმის შემდეგ შეიცვალოს ფეხი ე. ი.
ბურთზე შეხება შეიძლება შენაცვლებით ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ფეხით;
4. მარჯვენა ფეხით, თავით, მარცხენათი, თავით, მარჯვენა ფეხით და ა. შ.

შეიზნა: თამაშის პროცესში თვითეული პირობის დარღვევა შეცდომად ჩაითვლება.

რომელი გუნდი უფრო დიდ მანძილს დაჭარავს აკენწვლით

გუნდში შეიძლება იყოს 6 მოთამაშემდე. ვაძლევთ ერთ-ერთ გუნდის მოთამაშეს ბურთს და იგი ვალდებულია ბურთი კენწვლით ატაროს მოედანზე და ეცადოს მის ძირს დაუშვებლად დაჭაროს რაც შეიძლება მეტი მანძილი (სწორხაზობრივი).

დავუშვათ პირველი გუნდის მოთაშეს რომელიმე ადგილზე ბურთი ძირს დაუცარდა, მაშინ შემდეგი მოთამაშე აგრძელებს გზას იმ ადგილიდან კი არა, სადაც ბურთი მიწას შეეხო, არამედ ადგილიდან, სადაც მოთამაშემ ბურთს ფეხი შეახო უკანასკნელად. როდესაც ერთი გუნდიდან მოთამაშეები შეასრულებენ ამ ვარჯიშს, მაშინ მეორე გუნდის მოთამაშეები, იმავე წესით შეეცდებიან ბურთით გაიარონ იმაზე მეტი მანძილი, ვიდრე ეს პირველმა გუნდმა შესძლო, თუ ეს

ვერ მოახერხეს მეორე გუნდი ჩაითვლება წაგებულად და მოწინააღმდეგი გუნდი მიიღებს ერთ ქულას, და თუ შესძლო, თვითონ ჩაიწერს ქულას. მოგებულად ითვლება გუნდი, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას მოაგროვებს.

თამაში გართულდება თუ: 1. მოთამაშეს მიეცემა უფლება მხოლოდ მარჯვენა ფეხით მოქმედების;

2. მხოლოდ მარცენა ფეხით მოქმედების;

3. რიგრიგობით მარჯვენა, მარცენა ფეხით მოქმედების;

4. მარჯვენა ფეხით, თავით, მარცენა ფეხით;

თავით მარჯვენა ფეხით და ა. შ.

შენიშვნა: პირობის დარღვევა შეცდომად ჩაითვლება.

ერთმანეთისათვის ბურთის გადაცემით, მის ძირს დაუფარდნელად დაგვაროთ რაც შეიძლება მეტი მანძილი

გუნდში უნდა იყოს მოთამაშეთა წყვილი რიცხვი 4-6 ან 8.

გუნდიდან, რომელსაც თამაშის დაწყება ხვდება, ორი მოთამაშე ერთ სწორ ხაზზე დგება, ერთი მეორისაგან განსაზღვრულ მანძილზე. ამათგან ერთი მოთამაშე ფეხის გარტყმით აწვდის ბურთს მეორე მოთამაშეს, მან ძირს დაუშვებლად უნდა მიიღოს იგი და გადაწოდოს ისევ უკან თავის ამხანაგს იმ ანგარიშით, რომ ბურთი წავიდეს წინ და იმავე დროს მისმა თანამოზიარებ შესძლოს ამ ბურთის მიღება და იგივე წესით უკან დაბრუნება და ა. შ.

ბურთის მიწაზე დაგარდნის შემთხვევაში, შემდეგი წყვილი განაგრძობს მანძილის დაფარვას, უკანასკნელი გარტყმის აღგილიდან, რომლის შემდეგაც ბურთი შეეხო მიწას.

როდესაც პირველი გუნდი მოათავებს აღნიშნულ ვარჯიშს, იგივეს ასრულებს მეორე გუნდიც.

ქულას მიიღებს გუნდი, რომელიც უფრო დიდ მანძილს დაჰფარავს (სწორხაზოვანს). საბოლოო გამარჯვება მიეკუთვნება გუნდს, რომელიც მოაგროვებს მეტ ქულებს.

თამაში გართულდება: 1. თუ მოთამაშებს შორის გავაკეთებთ დერეფანს, რომელშიც მათ აფუკრძალავთ შესვლას.

2. თუ ერთსა და იმავე მოთამაშეს აეკრძალება ბურთზე ორჯერ ზედიზედ ფეხის გარტყმა.

ვინ უფრო სწრაფად გააჩერებს ბურთებს

თითოეულ გუნდში მოთამაშეთა რიცხვი განისაზღვრება ბურთების რაოდენობით.

მოედნის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ თითოეულ მოთამაშეზე მოდიოდეს საშუალოდ 20—25 კვადრატული მეტრის ფართობი.

თამაშის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

გუნდის ყოველ მოთამაშეს ბურთი უჭირავს ხელში ან ჭინ უდევს მიწაზე. ნიშნით „დაიწყო“ მოთამაშეები თავინთ ბურთებს ურტყამენ ფეხით მოწინააღმდეგის მოედნისაკენ და საპასუხოდ ელიან იქიდან გარტყმულ ბურთს. გუნდის მოვალეობაა, რაც შეიძლება ჩეარა მოყვანონ უძრავ მდგომარეობაში მათ ნახევარზედ მოწინააღმდეგის მიერ გადმოსროლილი ბურთები.

მოგებულად ჩაითვლება გუნდი, რომელიც უფრო მეტჯერ ჟესტებებს მოწინააღმდეგის მოედნიდან მის მოედანზე გადმოსროლილი ბურთების სწრაფად გაჩერებას.

შენიშვნა: მოწინააღმდეგის მოედნისაკენ გარტყმული ბურთი აუცილებლივ უნდა დაეცეს მის საზღვრებში.

ერთმანეთისათვის ბურთის თავით გადაცემით, რომელი გუნდი უფრო დიდხანს გააჩერებს ბურთს ჰაერში

(ნახ. 17)

გუნდში 5-10 მოთამაშეა, თვითეული გუნდის მოთამაშეები დგებიან ერთმანეთის უკან ერთ სწორ ხაზზე (ერთ რიგად), გარდა პირველი ნომერ მოთამაშეებისა, რომლებიც სახით არიან თავისი გუნდის დანარჩენ მოთამაშეების მიმართ.

მოთამაშეთა შორის მანძილი 3-4 მეტრია.

ნიშნით „დაიწყო“ პირველი ნომერი მოთამაშეები აიგდებენ ბურთს თავზე და თავის გარტყმით გადააწვდიან შესაბამისად, თავის მეორე ნომრებს, რომლებიც თავის მხრივ, გაუჩერებლივ თავის გარტყმით გადასცემენ მესამე ნომრებს, მიიღებენ რა ესენი ბურთს მეორე ნომრებისაგან გადააწოდებენ მას მეოთხე ნომრებს და ა. შ. როდესაც ბოლო მოთამაშის წინ მდგომი მოთამაშე გადააწვდის ბურთს უკანასკნელ მოთამაშეს, მაშინ მოელი რიგი შემოტრიალდება სახით რიგში ბოლო ნომრად მდგომ მოთამაშისაკენ, ეს უკანასკნელი ვალდებულია ბურთი დაუბოლნოს თავის გარტყმით მასთან ყველაზედ ახლოს მდგომ მოთამაშეს, ის კი გადასცემს ბურთს მის უკან მდგომ მოთამაშეს და ეს უნდა გაგრძელდეს, მანამდე, სანამ გუნდი არ დაუშვებს შეცდომას.

X_1

X_2

X_3

X_4

X_5

X_6

X_7

O

O_1

O_2

O_3

O_4

O_5

O_6

O_7

↓

3- l_{18} .

- 606. 17

- ორ გუნდს შორის მოგებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელ-
საც უფრო გვიან დაუვარდება ბურთი.

შენაზონა: ერთსა და იმავე მოთამაშეს ბურთზე ორჯერ ჰელი-
ჰედ შეხების უფლება არა აქვს.


თამაში გართულდება: 1. თუ თითოეულ მოთამაშეს
შემდეგ მოთამაშეზე ბურთის გადაცემის უფლება მიე-
ნიჭება მაშინ, როდესაც ის ბურთს შეეხება მეორეთ.
ე. ი. მოთამაშე მიღებულ ბურთს პირველი გარტყმით
თავის თავზე გაისწორებს, ხოლო მეორე გარტყმით გა-
დააწოდებს შემდეგს.

თავის გარტყმით გაწოდოთ ბურთი თანმიმდევრობით
(ნახ. № 18)

გუნდში 6-10 მოთამაშეა.

განლაგდებიან ორ რიგად ჭადრაკული წესით ერთმანეთისაგან
4-10 მეტრის დაშორებით (იხ. ნახ. 18). ასევე განლაგდება მეორე
გუნდიც.

ნიშნით „დაიწყო“ პირველი ნომერი მოთამაშები, რომლებსაც
ხელში უჭირავთ ბურთი, აიგდებენ ბურთს თავზე და თავის გარტყ-
მით გადააწვდიან მეორე ნომერს, მეორე ნომერი მესამეს, მესამე
მეოთხეს და ა. შ. როდესაც ბურთი მიუვა პოლოში მდგომ მოთა
გაშეს, ამ შემთხვევაში მეშვიდე ნომერს, იგი ბურთს თავის გარტყ
მით დაუბრუნებს მეექვსე ნომერს, მეექვსე—მეხუთეს და ა. შ.



წაგებულად ჩაითვლება ის გუნდი და მოწინააღმდეგეს მიეცემა ერთი ქულა, რომელსაც უფრო იდრე დაუვარდება ბურთი ძირს ან რომლის მოთამაშეც მას შეეხება ორჯერ ზედიზედ, ან კიდევ ვერ გადასცემს თანმიმდევრობით, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ.

თამაში გართულდება: თუ მოთამაშეთა რიგებს შორის გავიყვანთ დერეფანს, რომელშიაც მათ შესვლის უფლებას არ მივცემთ.

ბურთის გაჩერებაში გარჯიშობა

1.

ერთი მოთამაშე ფეხის გარტყმით ნელა უგორებს ბურთს მეორეს, ეს უკანასკნელი ვალდებულია გააჩეროს იგი ფეხით და შემდეგ ისევ დაუბრუნოს პირველს და ა. შ.

2.

მოთამაშეთა შორის მანძილი 20—30 მეტრია. ერთი მოთამაშე მეორისაკენ ურტყამს დაბალ და ძლიერ ბურთს. მეორე ვალდებულია აღნიშნული ბურთი გააჩეროს და ისეთივე გარტყმით დაუბრუნოს პირველს და ა. შ.

3.

მოთამაშეები გარბიან ბურთებით (დრიბლინგი) ხელმძღვანელის ძახილზე „სდექ“, ან სასტენის ხმაზე სწრაფად უნდა შეჩერდენ და გააჩერონ ბურთები.

4.

მოთამაშეები ბურთებს ურტყამენ მაღლა. ამოცანა მდგომარეობს ძირს დაშვებული ბურთების სწრაფად გაჩერებაში.

5.

მოთამაშეები უნდა წამოწიონ მათ წინ გარტყმულ ბურთებს და სასწრაფოდ გააჩერონ.

6.

მოთამაშეები დგებიან კედლიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით. ფეხით ძლიერად ურტყამენ ბურთს კედლისაკენ და იქიდან დაბრუნებულ ბურთებს აჩერებენ. ერთხელ მარჯვენა ფეხით; მეორედ მარცხენით.

7.

მოთამაშეთა ერთი ჯგუფი, რომელიც დაშორებულია მეორესა-
გან 25—30 მეტრით, ფეხით 1—1,8 მეტრის სიმაღლეზე ურტყამს
ბურთებს. უკანასკნელნი ვაღლდებულნი არიან გააჩერონ ბურთები თა-
ვით, გულმკერდით ან მუცლით, და დაიგდონ ფეხების წინ.

8.


მოთამაშე გარბის სწრაფად ბურთის შესახვედრად, რომელიც
გარტყმულია შისკენ. აჩერებს მას სასწრაფოდ და შემდეგ ურტყამს
მეორე მოთამაშისაკენ, რომელიც ასეთივე წესით მოიყვანს ბურთს
უძრავ მდგომარეობაში და შემდეგ ისევ ფეხის გარტყმით გადა-
სცემს სხვა მოთამაშეს.

9.

იგივე ვარჯიში რაც 8, მხოლოდ ბურთი, რომელიც გარტყმუ-
ლია მოთამაშისაკენ არ უნდა იყოს დაახლოებით ერთ მეტრზედ
დაბალი და ორზე მაღალი.

10.

მოთამაშეს რომელიც გარბის ა წერტილიდან ბ-საკენ (იხ. ნახ.
№ 19), ბურთს აწვდიან გრძელი პასით დ წერტილიდან, მან



ბურთი უნდა დაიმორჩილოს სადმე კ წერტილში და მიაშუროს ბ წერტილს, საიდანაც გრძელი პასით გადასცემს ბურთს სხვა მოთამაშეს, რომელიც დაუშვათ გარბის გ—ვ მიმართულებით და ბურთს დაიმორჩილებს ო წერტილში.

11.

მაღლა გარტყმულ და იქიდან წამოსულ ბურთს მოთამაშემ ფეხი უნდა დაახვედროს ერთი მეტრის ან მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე და ბურთის მოძრაობას ისეთნაირად შეუთავსოს ფეხის მოძრაობა, რომ ბურთი შეჩერებული იქნეს ფეხზე და „ჩამოლებული“ ძირს.

ვარჯიშობა თავით თამაშში

1.

ყოველ მოთამაშეს ეძლევა თითო ბურთი. თითოეულის ამოცანაა ათამაშოს ბურთი თავზე ისე, რომ ძირს არ დაუვარდეს.

2.

მოთამაშე თამაშობს ბურთით კედელთან. თითოეული თავის გარტყმის შემდეგ მოთამაშემ ბურთი უნდა მოარტყას კედელს და მიიღოს იგი თავითვე კედლიდან.

3.

იგივე რაც 2 ვარჯიში, მხოლოდ მოთამაშემ უნდა იმოძრაოს კედლის გასწვრივ და ბურთის ძირს დაუვარდნელად დაჭვაროს რაც შეიძლება მეტი მანძილი.

4.

კედლიდან დაბრუნებული (ანარეკლი) ბურთი მოთამაშემ თავის გარტყმით უნდა გაგზავნოს განსაზღვრული მიმართულებით. (წინ, უკან, მარჯვნივ, ან მარცხნივ).

5.

მოთამაშემ თავზე ბურთის კენჭვლით, მისი ძირს დაუვარდნელად, უნდა გაიაროს რაც შეიძლება მეტი მანძილი.

6.

ორი მოთამაშე, რომელთა შორის მანძილი 3—6 მეტრია, ბურთს თავის გარტყმით აწვდის ერთი მეორეს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშეებმა ბურთი ძირს დაუვარდნელად გადააწოდგადმოაწოდონ ერთი მეორეს, რაც შეიძლება მეტჯერ.

იგივე ვარჯიში რაც 6, მხოლოდ მოთამაშეებს ეძლევა დავალე-
ბა ბურთის ძირს დავარჩნამდე დაპფარონ რაც შეიძლება მეტი
მანძილი, საწყის ადგილიდან მოედანზე სწორხაზოვანი გადანაცვ-
ლებით.

მოთამაშე ვალდებულია მისკენ ნასროლი ბურთი თავის გარტყ-
მით, გასტყორცნის რაც შეიძლება შორს და განსაზღვრული მიმარ-
თულებით.

მოთამაშემ მისკენ ნასროლი ბურთი თავის გარტყმით უნდა
ჩააგდოს განსაზღვრულ ფართობში ან გააქრინოს სამიზნებელ
რგოლში.

სამი მოთამაშე (ან მეტი) თამაშობენ ერთმანეთში თავით. ერთ
მოთამაშეს უფლება აქვს გადასცეს ბურთი შემდეგს მხოლოდ მეო-
რე გარტყმით, ე. ი. როდესაც აღნიშნული მოთამაშე მიიღებს ბურთს,
მან თავის პირველი გარტყმით უნდა „გაისწოროს“ ბურთი თავი-
სივე თაგზე (აიგდოს) და შემდეგი გარტყმით გადასცეს იგი შემდეგ
მოთამაშეს.

მოთამაშეები წრეს აკეთებენ, ბურთი ეძლევა წრის ცენტრში
მდგომ O მოთამაშეს (იხ. ნახ. 20). რომელიც თავის გარტყმით აწვ-
დის ბურთს O₁-ს, O₁ შეუჩერებლივ ისევე თავის გარტყმით უბრუ-
ნებს O-ს. O გადასცემს O₂, იგი დაუბრუნებს ისევ უკან და ა. შ.
O მოთამაშეს არა აქვს უფლება მოთამაშის გამოტოვების. ეს
შეცდომად ჩაითვლება და მაშინ O მოთამაშის ადგილს O₁ დაიკა-
ვებს და ა. შ.

ბურთის ჩამოსაკიდებელ მოწყობილობაზე (იხ. ნახ. 21) ჩამო-
კიდებულია ბურთი, რომელიც უძრავ მდგომარეობაშია მოყვანილი.
მოთამაშეთა ჯგუფი დგება ბურთის ქვეშ და რიგრიგობით ურტყამს
შას თავს. გარტყმის შემდეგ ბურთი მოჰყავთ უძრავ მდგომა-
რეობაში. გარტყმების ჩამოთავების შემდეგ ბურთი მაღლა აიწევა.
როდესაც შეუძლებელი შეიქმნება ბურთზე თავის გარტყმა ადგი-
ლიდან ახტომით, მოთამაშეებს მიეცემათ გამოქანების უფლება.

13.

იგივე ვარჯიში რაც 12, მხოლოდ ბურთი ყოველთვის მოძრაობაშია.

14.

ორი მოთამაშე ცდილობს ფეხით მაღლა გარტყმულ ბურთის თვით აღებს.

15.

იგივე რაც 14, მხოლოდ თითოეულ მოთამაშეს ეძლევა განსაზღვრული ფართობი, სადაც უნდა გააგზავნოს ბურთი.

16.

ერთი მოთამაშე აწოდებს კუთხურ გარტყმას მეორეს, რომელიც იმყოფება საჯარიმ მოედნის საზღვრებში. კუთხურ გარტყმიდან მიწოდებული ბურთი ამ მოთამაშემ თავის გარტყმით უნდა გაიტანოს კარებში. კარებს იცავს მოთამაშე, რომელმაც არ უნდა შეუშვას ბურთი ჭარებში ფეხბურთის თამაშის წესებით დაშვებულ ჭველა ხერხების მოხმარებით, გარდა ხელებისა. ამავე დროს ამ მო-

0

O_8

O_2

O_7

0

O_3

O_6

O_4

O_5

6ას 20

თამაშეს რა აქვს უფლება გამოვიდეს მეკარის მოედნის (პატარა საჯარიმო მოედნის) ფარგლებიდან.

1.

მოთამაშე გარბის მისკენ გარტყმულ ბურთისაკენ, მისი დანიშნულებაა შემხევედრი ბურთი თავის გარტყმით გააგზავნოს მისი მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით.

გარჯიშები მეკარისათვის

1.

მოთამაშე ბურთს ურტყამს სხვადასხვა სიძლიერით მიწაზე და იქიდან არეკნილს იჭერს ხელში.

2.

მოთამაშე ბურთს აგდებს ზევით ხელით ან ფეხის გარტყმით და ნახტომით იჭერს რაც შეიძლება მალლა.

3.

ერთი მოთამაშე მეორეს ბურთს ესვრის ხელით ან ურტყავს ფეხით, უკანასკნელი ვალდებულია მასთან მოსული ბურთი დაიჭიროს ხელში. მანძილი მოთამაშეებს შორის 10—30 მეტრამდეა.

4.

მოთამაშე დგას კედელთან, იგი ფეხით ან ხელით ძლიერად ურტყამს კედელს ბურთს და იქიდან დაბრუნებულს იჭერს ხელში.

5.

მოთამაშე დგება სახით კედლისაკენ, მის უკან კი მეორე, რომელსაც ხელში უჭირავს ბურთი. ეს უკანასკნელი ბურთს ძლიერად ურტყავს კედელს. იქიდან ანარეკლი ბურთი პირველმა უნდა დაიჭიროს ხელში. ბურთის დამჭერ მოთამაშესა და კედელს შორის მანძილი 10 მეტრიდან მინიმუმმდე მცირდება.

6.

ორი მოთამაშე ეჯიბრება ერთი მეორეს ბურთის ცალი ხელით, რაც შეიძლება შორს გატყორცნაში. (როგორც მარჯვენა ისე მარცხნია ხელით).

7.

კაცის სიმაღლეზე უფრო მაღლა ჩამოკიდებულ ბურთს, მოთა-
მაშე მომუშტულ ხელებს ურტყამს. ბურთი თითოეული გარტყმის
შემდეგ მოიყვანება უძრავ მდგომარეობაში და ნელ-ნელა აიწევა ზე-
ვით, მაშინ როდესაც შეუძლებელი გახდება ბურთზე ორი მუშტით
შეხება. მოთამაშეს მიეცემა უფლება იმოქმედოს ერთი მუშტით.

8.

იგივე რაც 7 ვარჯიში, მხოლოდ ბურთი ქანაობს. მოთამაშეს
ბურთისკენ წასვლის მომენტში მოფიქრებული. უნდა პქონდეს ბურთის
გაგზავნის განსაზღვრული მიმართულება.

9.

მოთამაშე დგება კარებში და მას მეორე მოთამაშე ხელით ესვ-
რის ბურთს წინასწარ ნათქვამი მიმართულებით. პირველი მოთამაშე
ვალდებულია ბურთი დაიჭიროს აუცილებლივ ხელში.

10.

მოთამაშე დგას კარებში და მისკენ 2—3 წამის დაყოვნებით
ურტყამენ ბურთებს, იგი ცდილობს ყველა ბურთების დაჭრას.

11.

კარებიდან 8—10 მეტრის რადიუსის ფართობზე ჩამოწოდებუ-
ლი იქნება მაღალი ბურთი, რომლის კარებში გატანასაც ცდილობს
ორი მოთამაშე. მეკარემ აღნიშნული ბურთი უნდა დაიჭიროს აუცი-
ლებლივ ხელში.

12.

კარებიდან 8—10 მეტრის რადიუსის ფარგლებში ჩამოწოდებულ,
მაღალ ბურთის მუშტებით გატყორცნაში, მეკარეს ხელს უშლის
3 მოთამაშე.

13.

თითქმის კარების ხაზზე ჩამოწოდებულ ბურთის აღებას ცდი-
ლობს ორი მოთამაშე. მეკარემ აღნიშნული ბურთი ხელების აკერით
უნდა გადააგზავნოს კარებს უკან. (მოწინააღმდეგეს აძლევს კუთხუ-
რი გარტყმის უფლებას).

მოთამაშეები ვარჯიშობენ კარებიდან გარტყმის საუკეთესოდ
შესრულებაში. ბურთი უნდა იქნეს ჩაგდებული განსაზღვრულ
ფართობში.

აწოდებენ კუთხურ გარტყმებს მეკარის მოედნის ფარგლებში.
დავაფალდებულოთ მეკარე:

1. ყველა ბურთები დაიჭიროს ხელში.
2. " " გასტყორცნოს მოედნისაკენ.
3. გვერდზე, დაწყვილებული მუშტებით. (მარჯვნივ ან მარცხნივ)
4. იგივე რაც 3, მხოლოდ ერთი მუშტით.
5. ყველა ბურთები. არეკლოს ისევ კუთხურ გარტყმაზე. ხუთი-
ვე ვარჯიში შესრულებული იქნეს უმოწინააღმდეგოთ, და შემდგომ
მოწინააღმდეგოთ.

පෙනුමක්ද තහවුරුවා

ගිරීසුදා ප්‍රාදා (ජාතාප්‍රාදා)

මෙමයාමාධිස් උත්‍රා මූල්‍යාත්මක

මෙමයාමාධිස් උත්‍රා යුතුවාත්මක

මූල්‍යාත්මක උත්‍රා

යාරුද්‍රේ ගාර්ගුම්

X ගුරුතා ගුරුදාස මෙමයාමාධි

0 මෙමින්දාලමින්දා ගුරුදාස මෙමයාමාධි

වාස 31



შესავალი	3
გინ უფრო ადრე გაიტანს გოლს	7
გრძელი გადაცემებით გავიტანოთ გოლი	9
სწრაფად გავიტანოთ გოლი	11
გინ მეტ გოლს გაიტანს 25 საჯარიმო გარტყმიდან	14
გარღვევაზე გასულმა გაიტანე გოლი	15
კუთხური გარტყმიდან ბურთის ძირს დაუშვებლად გავი- ტანოთ გოლი	16
„ლამე“ და „ლამურა“	17
სწრაფად შემოვუაროთ დგარებს	19
გინ მეტ გოლს გაიტანს სამი პირითი აუტის გაკეთებამდე	21
ეითამაშოთ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე	22
დავეწიოთ ჩვენს მოწინააღმდეგს	24
ყველა ბურთები ერთ მხარეს	25
გადააცილეთ ბურთი მოწინააღმდეგის პირით ხაჩს	26
სწრაფად დავაბრუნოთ ბურთი თავის აღვილზე	28
ბურთი სწორკუთხედში	28
გინ უფრო მაღე დაბრუნდება წრეში	29
„ფეხჩოგზურთი“	32
ჩავაგდოთ ბურთი სწორკუთხედში	34
ბურთი წრეში	34
რვიანში ორი გოლი	36
რომელი გუნდი მეტს აკენწლავს	38
რომელი გუნდი უფრო მეტ მანძილს დაჭრარავს აკენწვ- ლით	38
ერთმანეთისათვის ბურთის გადაცემით, მის ძირს დაუ- გარღველად დავფაროთ რაც შეიძლება მეტი მანძილი	39
გინ უფრო სწრაფად გააჩერებს ბურთებს	30
თავით ერთმანეთისათვის ის გადაცემით, რომელი გუნდი უფრო დიდხანს გა ბურთს ჰაერში	40
თავის გარტყმით ვაწოდოთ ბურთი ზანძიმირუკრობით	42
გარჯიშობა ბურთის გაჩერებაში	43
გარჯიშობა თავით თამაშში	45
გარჯიშები მექარისათვის	48
პირობითი აღნიშვნა	51

“ଆମେରିକା ଆପଲାଟିକାର୍ଡ ଗାସଟରାଇଙ୍

ସଫ୍ଟର. ରେବ.	ସଫ୍ଟର. ରେବ.	ଲାହୁତଳିଲାଙ୍କ	ଲାହୁତଳିଲାଙ୍କ
4	28	ଏକାରିନ୍	ଏକାରିନ୍
5	23	ଶରୀର ଶୈଖରିତମି ଶାନ୍ତିରୋ- ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍ କ୍ଷି ଏଥି ହେବେପିଲ୍	ଲା ଅମିଳିଗାଧ ଦେଇବାରେ ଶିଶୁରେଣ୍ଟ ସିଲ୍ପିରେଣ୍ଟ ବ୍ୟାପିକ୍ରିଯାରେ ମାତ୍ର
14	16	ନୈନ୍ଦିକ ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍	ନୈନ୍ଦିକ ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍
17	36	ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍	ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍
30	14	ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍	ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍
30	39	ରେବରିଲିବ୍	ରେବରିଲିବ୍
3	19	(ଫଳିତାଳିନ୍ଦିଗ୍ରେ)	(ଫଳିତାଳିନ୍ଦିଗ୍ରେ)
	8	ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍	ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍
	6	ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍	ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍
	47		

ଶରୀରରେ ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍ କ୍ଷି ଏଥି ହେବେପିଲ୍
ନୈନ୍ଦିକ
ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍

ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍

ରେବରିଲିବ୍

(ଫଳିତାଳିନ୍ଦିଗ୍ରେ)

ଶାନ୍ତିରୋଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍

ଲ୍ୟାର୍ଡରିନ୍